თავი IV
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2017 წლის 6 თვის შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა 24 357.3 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 625 875.7 ათასი ლარის ოდენობით.

2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 666 521.9 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის ფაქტიური შესრულება
	396,397.7	666,521.9
ვალუტა და დეპოზიტები*	0.0	291,611.5
სესხები	192,275.7	193,930.7
აქციები და სხვა კაპიტალი	204,122.0	180,979.7

*ვალუტა და დეპოზიტებში 291 611.5 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 704 146.0 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2017 წლის 1 ივლისისათვის განისაზღვრა 995 757.5 ათასი ლარით.

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 40 646.2 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის ფაქტიური შესრულება
	127,711.5	40,646.2
ვალუტა და დეპოზიტები	83,711.5	0.0
სესხები	44,000.0	40,555.7
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	88.7
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	1.8

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 601 518.3 ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 846 207.5 ათასი ლარი, მათ შორის:

- 264 597.2 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 417 442.5 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 164 167.8 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის ფაქტიური შესრულება
	1,044,678.4	846,207.5
საშინაო	252,666.0	264,597.2
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	252,666.0	264,597.2
საგარეო	792,012.4	581,610.3
სესხები	792,012.4	581,610.3

ათას ლარებში

დასახელება	**საანგარიშო პერიოდის ფაქტი**
ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტები	**164,167.8**
WB	129,211.6
EU	34,956.2
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	**417,442.5**
IFAD	1,703.5
WB	72,786.2
EBRD	87,372.0
ADB	116,397.8
EIB	59,949.1
საფრანგეთი	37,756.6
იაპონია	16,353.0
გერმანია	25,124.3
სულ კრედიტები	**581,610.3**

2017 წლის ორი კვარტლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 28 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 860 000.0 ათასი ლარის მოცულობით, ამავე პერიოდში დაიფარა 599 998.0 ათასი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 14.0% იყო 6 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 41.3% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 25.6% იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 14.5% იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 4.6% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში სახაზინო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებულმა თანხამ 834 180.2 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 569 583.0 ათასი ლარი შეადგინა. სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად, საშინაო ვალდებულების ზრდამ შეადგინა 264 597.2 ათასი ლარი, რაც დაგეგმილთან შედარებით 104.7%-ია.

2017 წლის 6 თვის განმავლობაში გამოშვებული და დაფარული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები

ათას ლარებში

თვე	სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებული თანხა	სახაზინო ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის დაფარვა	სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ვალდებულებების ცვლილება
იანვარი	153,100.9	142,511.7	10,589.2
თებერვალი	135,344.6	100,041.7	35,302.9
მარტი	116,065.3	73,101.0	42,964.3
აპრილი	147,781.7	159,835.3	-12,053.6
მაისი	86,707.4	0.0	86,707.4
ივნისი	195,180.4	94,093.2	101,087.2
სულ	**834,180.2**	**569,583.0**	**264,597.2**

3. ვალდებულებების კლება 244 689.2 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის ფაქტიური შესრულება
	251,378.1	244,689.2
საშინაო	36,754.1	37,105.1
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	17,000.0	17,000.0
სესხები	2,080.0	2,080.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	17,674.1	18,025.1
საგარეო	214,624.0	207,584.0
სესხები	188,000.0	180,960.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	26,624.0	26,624.0

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 15 107.4 მლნ ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 3 418.6 მლნ ლარს, მათ შორის: ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სებ-ისთვის“) – 320.8 მლნ ლარი; სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 165.0 მლნ ლარი; ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 683.2 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 1 577.2 მლნ ლარი; სხვა სავალო ვალდებულებები (ე. წ. “ისტორიული ვალი“) – 672.3 მლნ ლარი.
- სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 11 688.8 მლნ ლარს.

ათას ლარებში

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
სულ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი	**11,688,847.4**
მთავრობის საგარეო ვალი	**11,583,677.7**
მრავალმხრივი კრედიტორები	**8,484,971.9**
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	2,807,667.4
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	1,840,315.6
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	67,602.1
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	267,948.3
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	311,283.0
ევროგაერთიანება (EU)	63,121.2
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	2,383,972.4
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	743,061.8
ორმხრივი კრედიტორები	**1,890,180.6**
ავსტრია	29,996.3
აზერბაიჯანი	22,489.1
თურქმენეთი	508.1
თურქეთი	43,102.8
ირანი	17,397.1
რუსეთი	180,390.0
სომხეთი	25,694.3
უზბეკეთი	471.2
უკრაინა	430.3
ყაზახეთი	61,990.3
ჩინეთი	5,324.9
გერმანია	658,377.4
იაპონია	489,820.5
კუვეიტი	31,666.7
ნიდერლანდები	2,674.8
ამერიკა	59,103.4
საფრანგეთი	260,743.4
ფასიანი ქაღალდები	**1,203,600.0**
ევროობლიგაცია	1,203,600.0
გარანტირებული კრედიტები	**4,925.2**
გერმანია	4,925.2
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	**105,169.7**
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	105,169.7